ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №09/039

თბილისი

28 სექტემბერი 2015 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** შემდგომში **„შემსყიდველი“**, წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **ზაზა აბულაძეს** სახით და მეორეს მხრივ, **შპს არტპალასი** შემდგომში **„მიმწოდებელი“**, წარმოდგენილი დირექტორის **მაკა შავგულიძის** სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" კონკურენციისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.2 და 1.3 პუნქტში მითითებული საქონელი.

1.2 მაისური (თეთრი ფერის) – 25 (ოცდახუთი) ცალი,

1.3 მაისური (შავი ფერის) – 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ცალი.

- CPV: 18332000

1.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ფასი და გადახდის პირობები

2.1 ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული ერთი ერთეული მაისურის ღირებულება შეადგენს 12.00(თორმეტი) ლარს, ხოლო ხელშეკრულების 1.3 პუნქტში მითითებული ერთი ერთეული მაისურის ღირებულება შეადგენს 12.49(თორმეტი ლარი და 49 თეთრი) ლარს.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4 983.75 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდასამი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.3 ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტის შესაბამისად შეკვეთილი საქონლის ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, ასევე კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

2.5 საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე საქონლის მიწოდების შემდეგ.

3. ხარისხი

3.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4. მიწოდების წესი

4.1 საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით არაუგვიანეს **2015 წლის 12 ოქტომბრისა.**

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა, მათ შორის: ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს – **თამარ ძოწენიძეს,** რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარებას.

4.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოთ შეფუთული, ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

4.6 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარეს მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4.7 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე პასუხისმგებლობა და რისკებზე მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე

4.8 ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება საქონლის გადაცემის შემდეგ 20(ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის, ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედდებულის საფუძველზე, მასში აღნიშნული ოდენობის შესაბამისად.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3 გადახდის ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.4 გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადგენილი საქონლის მიწოდების ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

6.3 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.4 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6.5 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მხოლოდ მათგან დამოუკიდებელი სტიქიური უბედურების ან სხვა ფორს-მაჟორულ შემთხვევაში.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სხვა უფლებები და ვალდებულებები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მიწოდებული საქონელი იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ნაკლოვანებები, რომლებიც გამორიცხავენ საქონლის გამოყენებას დანიშნულებისამებრ.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი უარს განაცხადებს მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, იგი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის განმავლობაში წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული უარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ითვლება მიღებულად და ექვემდებარება ანაზღაურებას.

8.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

8.3.1. შემსყიდველის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს თავისი მიზეზით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხიანი საქონლის დადგენილ ვადებში მიწოდებას;

8.3.2. მიმწოდებლის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.

8.4 ხელშეკრულების დამრღვევი ერთი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებზე, საკითხის გადაუწყვეტობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება ხდება 5 სამუშაო დღის ვადაში.

9. სხვა პირობები

9.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამისილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არა უგვიანეს **2015 წლის 30 ნოემბრისა.**

9.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 10 სამუშაო დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

9.3 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 2 სამუშაო დღით ადრე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე მიმწოდებელთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართი და ხელმოწერა:

„შემსყიდველი“	სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი:	203851028
მისამართი:	თბილისი, რუსთაველის გამზ. №19
ტელეფონი:	2 98 30 79
ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი (მფო):	TRESGE22
ანგარიშის N:	200122900

„მიმწოდებელი“	შპს არტპალასი
საიდენტიფიკაციო კოდი:	406076561
მისამართი:	თბილისი, გიორგი სააკაძის მეორე გასასვლელი, N4
ტელეფონი:	(032) 205 35 75
ბანკი:	სს"ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი (მფო):	UGEBGE22
ანგარიშის N:	GE17 VT660 00 0383 380 3602

იურიდიული მისამართის ან/და საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 3 დღის ვადაში წერილობით აცნობონ ერთმანთს ამის შესახებ.

„შემსყიდველი“
სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ბაბა ალავიძე

„მიმწოდებელი“
შპს არტპალასი

მაკა შავგულიძე

მიღება-ჩაბარების აქტი №09/039-1

თბილისი

09 აპრილი 2015წ.

ერთი მხრივ, **სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** შემდგომში **„შემსყიდველი“**, **თამარ ძოწენიძის** სახით, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და მეორე მხრივ, **შპს არტპალასი** შემდგომში **„მიმწოდებელი“**, წარმოდგენილი დირექტორის **მაკა შავგულიძის** სახით, რომელიც ასევე მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, 2015 წლის 28 სექტემბრის №09/039 ხელშეკრულების შესაბამისად ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული **საქონელი სრულად.**

საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **4 983.75 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდასამი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლთ.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“

სსიპ – საქართველოს შოთა
რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მიმწოდებელი“

შპს არტპალასი

თამარ ძოწენიძე

მაკა შავგულიძე

განცხადება

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

თბილისი, 28 სექტემბერი 2015წ.

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, შესყიდვების მენეჯერი და ხელშეკრულების ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს ინტერესთა კონფლიქტი **მაისურების** შესყიდვაზე მომწოდებელთან – **შპს არტპალასი** ს/ნ 406076561.

ზაზა აბულაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი სალაღიშვილი

შესყიდვების მენეჯერი

თამარ ძოწენიძე

ხელშეკრულების ინსპექტირებაზე
პასუხისმგებელი პირი